საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3472-02
09/11/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წევრობის კანდიდატის არჩევნების ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, 24-ე მუხლის მეორე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების მე-7 მუხლის და რექტორის 2018 წლის 30 ოქტომბრის N3353-02 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წევრობის კანდიდატის ერთ ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 15 ნოემბერს 14:00 საათიდან 17:00 საათამდე (მის:ი. ჭავჭავაძის გამზ.N32, A205).
2. აკადემიურის საბჭოში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან დარეგისტრირებული კანდიდატია- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი დარეჯან(ჯანა) ჯავახიშვილი. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალსა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტებს- სტუდენტური თვითმმართველობიდან მიაწოდოს ამ ბრძანებაში ასახული ინფორმაცია კანდიდატზე, ასევე არჩევნების ჩატარების თარიღზე და დროზე.
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
4. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ბრძანებაში მითითებულ პირს, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი